# ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

# ოქმი N08

**2024 წელი 28 ივნისი**

**ქ. ბაღდათი**

**10:00 საათი**

2024 წლის 28 ივნისს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

**სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:** ნოდარ გიორგიძე გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, შადიმან გორგოძე, თეა გოგნაძე, ბიძინა ჯაბიძე, კახა კოხოძე, ალექსანდრე ფახურიძე, იოსებ კვირიკაშვილი, ირინა ტყეშელაშვილი, თორნიკე გაჩეჩილაძემ, მაია კბილაშვილი, გიორგი კოტორეიშვილი, მურად ბურჯანაძე, ზვიად გუმბერიძე, გვანცა გრძელიძე, გურამ ჩხეიძე, ნინო კვირიკაძე, დიომიდე კიკნაველიძე, მაკა მესხი, ნინო ფურცელაძე.

სულ: 23 საკრებულოს წევრი.

**სხდომას არ ესწრებოდა:** გურამი კიკნაველიძე, ზაზა ზივზივაძე, შალვა მშვილდაძე, ირაკლი გოგსაძე, ჯუმბერ რობაქიძე, ვლადიმერ წიქორიძე..

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**მუნიციპალიტეტის მერიიდან:**

**ვლადიმერ მელაძე** - მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი.

**ეკა მშვილდაძე** - .მუნიციპალიტეტის მერიის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი.

**ქეთევან კარკაძე** - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

**ვალერი კვინიხიძე** - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორი.

ზაირა კამლაძე - მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**ასევე სხდომას ესწრებოდნენ:**

**თამთა ჯიხვაძე - საქართველოს პარლამენტის წევრის ბეჟან წაქაძის ბიუროს თანამშრომელი.**

**პრესის წარმომადგენლები (ჩემი გაზეთი)**

**საკრებულოს აპარატი:**

**ნოდარ ებანოიძე** - საკრებულოს აპარატის უფროსი.

**ნათია ცისკაძე** - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

**ირინე აბაიშვილი** - მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

**რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21 საკრებულოს წევრმა.**

**სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა გურამი ნოდარ გიორგიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.**

სხდომის თავმჯდომარემ ნ. გიორგიძემ, სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

# დღის წესრიგი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - „ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“-ს ანგარიში 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

   მომხს. ვალერი კვინიხიძე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორი.

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ინფორმაცია: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის სპორადული და სისტემური რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ.

   მომხს. ეკა მშვილდაძე - .მუნიციპალიტეტის მერიის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი.

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის შიდა აუდიტორული ანგარიში.

   მომხს. ვლადიმერ მელაძე - მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი.

4. სახელმწიფო აუდიტის ანგარიში, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის შესახებ.

   მომხს. მურად ბურჯანაძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბაღდათში, წერეთლის ქ. №9-ში 30.11.33.001 საკადასტრო კოდზე მდებარე მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მდებარე 2 (ორი) ოთახი N1-21 (ფართით 17.64) და N1-22(ფართით 17.08) საერთო ფართით 34.72 კვ.მ უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

   მომხს. ქეთევან კარკაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბაღდათში, ვაჟა ფშაველას ქ. №5-ში 30.11.33.489.01.506 საკადასტრო კოდზე მდებარე პირველ სართულზე განთავსებული ოთახი N5 (ფართით 30.00 კვ.მ) უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

   მომხს. ქეთევან კარკაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

7. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მე-3 კვარტალში განსახილველ საკითხთა სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

   მომხს. გვანცა გრძელიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

**დღის წესრიგი მიღებული იქნა.**

**მომხრე - 21 წინააღმდეგი - 0**
**კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21 საკრებულოს წევრმა**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** 1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - „ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“-ს ანგარიში, 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

**ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის 2023 წლის ანგარიში საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა :** ვალერი კვინიხიძემ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორი.

**აზრი გამოთქვეს:** ნინო კვირიკაძემ, მაია კბილაშვილმა, ირინა ტყეშელაშვილმა, თეა გოგნაძემ, თორნიკე გაჩეჩილაძემ, მურად ბურჯანაძემ, ნოდარ გიორგიძემ.

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა საკრებულოს სხდომას გააცნო,** ირინა ტყეშელაშვილმა- მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ.

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:**

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N20 განკარგულება:გ-67. 6724180001 თარიღი:28/06/2024 (განკარგულება თან ერთვის);

**გადაწყვეტილება მიღებულია:**
**მომხრე- 19 წინააღმდეგი- 0**

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 2.** მუნიციპალიტეტის მერიის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ინფორმაცია: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის სპორადული და სისტემური რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ.

მუნიციპალიტეტში მიმდინარე მიწის ნაკვეთების სპორადული და სისტემური რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაცია საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა, **ეკა მშვილდაძემ - .მუნიციპალიტეტის მერიის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი.**

**აზრი გამოთქვეს:** დიომიდე კიკნაველიძემ, გიორგი კოტორეისვილმა, ბიძინა ჯაბიძემ, თორნიკე გაჩეჩილაძემ, მურად ბურჯანაძემ, თეა გოგნაძემ, შადიმან გორგოძემ, გურამი კიკნაველიძემ.

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ ცნობად მიიღო** მუნიციპალიტეტის მერიის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ინფორმაცია: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის სპორადული და სისტემური რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 3.** ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის შიდა აუდიტორულიო ანგარიში.

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის შიდა აუდიტორული შემოწმების შესახებ საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა: ვლადიმერ მელაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი, მან აღნიშნა, რომ ფინასთა სამინისტროსთან გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად, განხილვისათვის წარმოგიდგენთ წინამდებარე ანგარიშს.

**აზრი გამოთქვეს:** ირინა ტყეშელაშვილმა, მაია კბილაშვილმა, სიმონ ჭოლოკავამ, ზაირა კამლაძემ, ნოდარ გიორგიძემ.

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ ცნობად მიიღო :** ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის შიდა აუდიტორულიო ანგარიში.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:4.** სახელმწიფო აუდიტის ანგარიში, მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის აუდიტი.

სახელმწიფო აუდიტის ანგარიში, მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის აუდიტში ბაღდათის მუნიციპალიტეტზე არსებულ შედეგებზე საკრებულოს სხდომას მოახსენა, **მურად ბურჯანაძემ**

**- მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მანვე ბიუროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია საკითხის კომისიაზე განხილვის თაობაზე.**

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:**
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N21 განკარგულება:გ-67. 67241802 თარიღი:28/06/2024 (განკარგულება თან ერთვის);

**გადაწყვეტილება მიღებულია:**
**მომხრე- 19 წინააღმდეგი- 0**

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 5.** ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბაღდათში, წერეთლის ქ. №9-ში 30.11.33.001 საკადასტრო კოდზე მდებარე მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მდებარე 2 (ორი) ოთახი N1-21 (ფართით 17.64) და N1-22(ფართით 17.08) საერთო ფართით 34.72 კვ.მ უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

**განკარგულების პროექტი საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა:** ქეთევან კარკაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა წარმოადგინა:** თორნიკე გაჩეჩილაძემ-მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:**
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N22 განკარგულება:გ-67. 67241803 თარიღი:28/06/2024 (განკარგულება თან ერთვის);

**გადაწყვეტილება მიღებულია:**
**მომხრე- 19 წინააღმდეგი- 0**

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 6.** .ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბაღდათში, ვაჟა ფშაველას ქ. №5-ში 30.11.33.489.01.506 საკადასტრო კოდზე მდებარე პირველ სართულზე განთავსებული ოთახი N5 (ფართით 30.00 კვ.მ) უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

**განკარგულების პროექტი საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა:** ქეთევან კარკაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა წარმოადგინა:** თორნიკე გაჩეჩილაძემ-მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:**

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N23 განკარგულება:გ-67. 67241804 თარიღი:28/06/2024 (განკარგულება თან ერთვის);

**გადაწყვეტილება მიღებულია:**
**მომხრე- 19 წინააღმდეგი- 0**

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 7**. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მე-3 კვარტალში განსახილველ საკითხთა სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

**განკარგულების პროექტი ბიუროს წევრებს გააცნო: გვანცა გრძელიძემ** - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:**
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N24 განკარგულება:გ-67. 67241805 თარიღი:28/06/2024 (განკარგულება თან ერთვის);

**გადაწყვეტილება მიღებულია:**
**მომხრე- 19 წინააღმდეგი- 0**

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.**

**სხდომის თავმჯდომარე: ნოდარ გიორგიძე**